Les parties du Caucase que nous venons de décrire, depuis le Cédela jusqu'au Djiketh, sont froides comme celles du Karthli et de l'Oseth, hautes et glacées comme ces dernières, et en tout semblables. Le Souaneth et Alan firent aussi partie du Caucase et des domaines des rois géorgiens, ainsi que nous l'avons dit.

nom de lieu, comme Dadian et Gouriel, ou un nom de famille. Gélowan est donc le titre générique du chef principal des Souanes.

გურიისა-თჳს:

ხოლო გურია არა წილი ეგრისისა არს, არამედ ქართლოსისა: განა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღა-რა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა, რომელნი იყვნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი [1]), ადარნასე და ძე მისი აშოტ: ამათ-გან განდგნენ და მიერთვნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს გურიაობით [2]) განდგომილნი, და ენა მათი, რომელსა უხმობენ მესხური, და არა იმერთაებრ: არამედ მზღვრის ამ გურიასა. აღმოსავლით, მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და ხაჯავახოს შორისი. სამხრით, ჭოროხის მდინარე და მთა მცირე ფერსათიდამ ჩამოსული, დასავლით აჭარა-გურიას შორისი. ჩრდილოთ, რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და დასავლით შავი-ზღვა: ხოლო რიონის თვალ-ზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა 1725 ქართულსა 413, ნავ-სადგურობისა-თვის, და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით: აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა არს ლანჩხუთი. ამ ლანჩხუთის სამხრით, წარმოვალს მთა ხაჯავახოს მთიდამ დასავლეთად. და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა, ეკლესია ჯუმათს, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შენი, მჭვრეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა: არამედ ზამთარ არს გაუვლისი და ზაფხულ საამო მშვენი, გრილ-ჭალოვანი: ზის ეპისკოპოზი მწყემსი სუფსის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა: და არს მთა ესე ჯუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნებიანი, ვენახ-ხილ-მოსავლიანი და ნადირ-ფრინველიანი: გვალად ფოთის სამხრით, ზღვის კიდე-ზე, არს ტბა პალიასტომისა,

---

1) Ce Stéphanos régna en Géorgie, avec le simple titre de mthawar, de l'an 600 à 619.

2) Cette étymologie ne repose que sur le sens du mot გურიაობა gouriaoba, vivre en confusion; mais de plus elle est insoutenable historiquement, puisque le nom de Gouriel paraît dès le XIV^{e} siècle dans la chronique de Trébisonde, traduite par nous dans le t. xx de l'Hist. du B.-E , p. 500, i. e. plus de 100 ans avant l'affranchissement du Gouria. Je regrette de n'avoir que des conjectures à cet égard: au reste, ce nom pourrait venir des Guèbres, adorateurs du feu, qui y ont été quelque tems les maîtres, au VI^{e} siècle, lors des guerres entre Justinien et Khosroès au sujet de la Lazique, dont il faisait partie. A l'appui de

Le Gouria appartenait non à Egros mais à Karthlos. Quand Léon fut roi des Aphkhaz, ceux-ci ne voulurent plus obéir aux éristhaws d'Odzrakhé, Adarnasé et son fils Achot, fils de Stéphanos Bagratide. Ils se révoltèrent contre eux et se soumirent à Léon. Leur nom même l'indique, Gouriens, i. e. révoltés, ainsi que leur langue, qui est meskhe, et non semblable à celle d'Imérethi. Le Gouria est borné: à l'E., par le Phersath, qui le sépare du Samtzkhé et du Sadjawakho; au S., par le Dchorokh et par une petite montagne se projetant du Phersath, à l'occident, qui le sépare de l'Adchara; au N., par le Rion, qui le sépare de l'Odich; à l'O., par la mer Noire. A l'embouchure du Rion est la citadelle de Phothi, construite par les Osmanlis en 1725 - 413 pour servir de port; les vaisseaux s'y arrêtent, un pacha réside en ce lieu. Là le Rion reçoit une petite riviere[1]). A l'orient de Phothi, sur le bord du fleuve, est Lantchkouth. Au S. de Lantchkouth passe une montagne qui, de celle de Sadjawakho, se dirige à l'O. Là où finit cette montagne, on voit sur une crête élevée l'église de Djoumath, grande et à coupole, d'une superbe architecture, qui domine la mer, le Gouria et l'Odich. La température est insupportable en été, mais agréable en hiver; il y a un évêque qui gouverne les pays entre la Souphseï et le Rion. Cette montagne de Djoumath est boisée, couverte d'habitations et de bourgs, qui récoltent du raisin et d'autres fruits, et pleine de gibier et d'oiseaux. Au S. de Phothi, sur le rivage, est le grand lac de Paliastom, d'où sort une rivière qui va à la mer; les vais-

Gouria. *Phothi.* *Lantchkouth.* *Djoumath.* *Lac Paliastom.*

---

cet avis, M. Du Bois de S. Péreux, qui voyageait dans ce pays en 1833, m'a dit qu'il avait retrouvé à Chémokmed les restes d'un atechgah. Ou bien, ce nom viendrait des Juifs ჰურია houria, qui y furent transportés captifs par Nabuchodonoser, au dire de Moyse de Khoren (II, ch. 7); et l'on a vu dans le Bulletin scientif. (V, p. 244), le patriarche de Jérusalem, Dosithée, assurer que Gouria signifie «judaïsant,» parce qu'il y a dans ce pays beaucoup de Juifs.

1) Elle se nomme Dekberi.

დიდი; ამ ტბიდამ შესდის ზღვას მდინარე ამისავე: აქედამ შემოვლენან ნავნი, და დგებიან ტბასა შინა, განსვენებისა-თვის; იპყრობის თევზნი სხვა და სხვანი მას შინა ურიცხვნი: ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცვლასა წყლისა-გან; ქვალად ამ ტბის და ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფსეი, გამომდინარე სამცხე-გურიის შუას მთისა, მომდინარე ბასვის-წყლამდე; ჩდილოს დასავლეთს შუა, ბასვის-წყლიდამ ზღვამდე, აღმოსავლიდამ დასავლეთად, და მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. არს მდინარე კარგი და თევზიანი: ბასვის-წყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერძნისა. სამხრით-კენ, მას ზეით, კეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი. მოსახლენი მკნენი: სუფსის სამხრით და ნაიალეთის ჩდილოთ არს გურიანთას ციხე კლდე-გორასა ზედა შენი: ამის სამხრით დის აკეთ-ნაილეთის წყალი. გამოსდის სურების მთას, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ:

ამ მთის ძირ-ში არს ციხე-ასანისა: ამისვე სამხრით, მთის ძირ-ში, არს შემოქმედი, ეკლესია დიდ-შენი, გუნბათიანი, შემკული ყოვლითა. იყო ესე საარქიმანდრიტო, აწ არს საეპისკოპოზო. ზის ეპისკოპოზი მწყემსი მას ქვეყნის გურიისა: აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრესით, მიერთვის ხინოს-წყალს ჩდილოდამ: ამ წყალ-ზე, შემოქმედს ქვეით არს ოზურგეთი [1], სასახლე დიდ-შენი, კეთილ-პალატოვანი, გურიელისა: აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი, და ვაჭრობენ: ამ ოზურგეთის სამხრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ, ჩდილო დასავლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ: ამ მდინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა [2], მთის ძირს, და მას ზეით, მთა-ში, ამ წყლამდე, ხეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი: აქა ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შენი, კარგს ადგილს: ზის ეპისკოპოზი მწყემსი ხინოს-წყლის სამხრეთისა, ჭოროხამდე: არამედ გურია იყო სრულიად ქუთათლის სამწყსო, ხოლო შე-

1) V. pour les détails la description du Gouria d'après les autorités russes, IIe Pie.

2) Lékhéour, sur la carte géorgienne, Likaouri sur les cartes russes.

seaux la remontent et vont s'abriter sur le lac. On y prend quantité de poissons de diverses espèces. On dit que c'était autrefois une ville, depuis envahie par les eaux. Au S. du lac et du mont Djoumath coule la Souphséi; sortant d'une montagne entre le Samtzkhé et le Gouria, se dirigeant du N. au S. jusqu'à la Bakhwis-Tsqal, puis jusqu'à la mer de l'E. à l'O., et se jetant dans la mer, à l'E.: cette rivière est belle et poissonneuse. Au-dessus du confluent de la Bakhwis-Tsqal, vers le sud, est la citadelle de Béridzé; plus haut, la vallée de Soureb, productive en raisins et autres fruits. Les habitants en sont braves. Au S. de la Souphséi, au N. de Baïleth, est Gouriantha, forteresse bâtie sur une montagne rocheuse. Au S. coule la rivière d'Aceth et de Baïleth, sortant du mont Soureb et se jetant dans la mer du côté de l'E. La Souphséi. Béridzé. Soureb. Gouriantha. Aceth et Baïleth.

Au pied de cette montagne, est la citadelle d'Ascana; au S., au pied d'une montagne, est Chémokmed, grande église à coupole, très bien ornée: c'était la résidence d'un archimandrite, maintenant d'un évêque, celui qui dirige le Gouria inférieur. Là coule une petite rivière sortant d'une montagne entre Soureb et Khino, et qui, après avoir fait un coude, se jette, par le N., dans la Khinos-Tsqal. Sur cette rivière, au-dessus de Chémokmed, est Ozourgeth, résidence superbement construite et très magnifique, du Gouriel, où il y a des marchands arméniens et juifs. Au S. d'Ozourgeth coule la Khinos-Tsqal, sortant de la montagne d'Adchara et de Gouria, et coulant du S. E. au N. O. jusqu'au fort de Lékhéour, puis de l'E. à l'O., avant de se jeter dans la mer. Entre cette rivière et Chémokhmed est la citadelle de Lékhéour, au pied d'une montagne. Plus haut, dans la montagne, sur le bord de la rivière, est la vallée montagneuse et forte de Khino, qui cependant produit du raisin et des fruits. A Khino est une grande et belle église à coupole, dans une belle situation, où réside l'évêque des pays au S. de la Khino jusqu'au Dchorokh. Autrefois le Gouria entier dépendait du Kouthathel; depuis la division des royaumes, les Gouriels Ascana, Chémokmed. Ozourgeth. La Khinos-Tsqal. Lékhéour. Khino.

მდგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინნენ სამნივე ესე ეპისკოპოზნი, თვისისა დიდებისა-თვის: ამ ხინოს მდინარის სამხრით, მთის ძირს, არს აჭყვს ციხე კარგი: და ხინოს მდინარის შესართავ-თან ზღვა-ზედ, არს ალამბარი, სასახლე შენი გურიელისა, ფრიად მშვენიერს ადგილს: კვალად ალამბრისა და აჭყვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე: ზღვის პირს, ამ წყალ-ზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსა-ვით და ნავ-სადგური ფრიად კეთილი: ამის სამხრით დის ჩაქვის-წყალი. გამოსდის აჭა-რის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღვას სხვებრთა-ებრ: ამ წყალ-ზედ, ზღვის კიდეს არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი კლდე გამოკვეთილი გზად: ამას ზეით არს, ამ წყალ-ზე, ჩაქვი. და ამ ჩაქვის სამხრით დის ჭოროხის მდინარე: ზღვის შესართავ-ზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურ-ზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა: ამას ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არს ერგე, და ბათომის პირის-პირს ჭოროხის სამხრეთის კიდე-ზე არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე, უპყრავთ ოსმალთა, რომელი აღაშენეს ქორონიკონსა 1547 ქართულსა 235.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე, და განი ჭოროხიდამ რიონამდე: ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, ხოველი, ხოტიო. ზამთარი თბილი, დიდ-თოვლიანი ვითარცა იმერეთი, და უყივნო. მთა-გორიანი, ტყიანი, აგარაკიანი და მცირე-ველოვანი: ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, კვალად აბრეშუმი, ბამბა არ ეგდენ: ცხოვარნი მცირედ, სხვა პირ-უტყვნი, თვინიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვრნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ: ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი: და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის-ხილი, ბროწეული მრავალი, და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად: არამედ მდინარეთა

1) Ces trois évêques résidaient à Djoumath, Ozourgeth et Chémokmed; mais ce dernier prenait le titre de métropolite, comme le prouve un cachet du XVIIIe siècle, cité dans le Bulletin scient. IV, p 301.

établirent trois évêques, pour se donner plus de relief. Au S. de la Khino et au pied d'une montagne est la bonne forteresse d'Adchwi. A l'embouchure de la Khino, sur le rivage, est Alambar, résidence bâtie par les Gouriels dans une charmante situation. Au S. d'Alambar et d'Adchwi coule la Kobouleth, qui, sortant du mont Khino, et d'Adchara, va à l'occident se jeter dans la mer comme la précédente. Sur le rivage et sur le fleuve est Kobouleth, qui semble une petite ville; port excellent pour les vaisseaux. Au S. coule la Tchakwis-Tsqal, sortant du mont d'Adchara, et allant comme les autres à l'O. se jeter dans la mer. Sur ses bords et sur le rivage est le fort de Kadjeth, solidement établi sur un rocher. Il y a un chemin souterrain, taillé dans la pierre. Plus haut, sur le même fleuve, est Tchakwi. Au S. coule le Dchorokh; au N. du Dchorokh et à son embouchure, est Bathom, petite ville et excellente citadelle, aujourd'hui occupée par les Osmanlis. Plus haut, et au N. du fleuve, sur le rivage, est Ergé, et, vis-à-vis de Bathom, sur le bord du Dchorokh, la petite ville et citadelle de Gonia, possédée par les Osmanlis, qui l'ont construite en 1547 — 235.

Adchwi. Alambar. La Kobouleth. Tchakwis-Tsqal. Kadjeth. Tchakwi. Bathom. Gonia.

La longueur du Gouria s'étend du sommet de la montagne de Samtzkhé à la mer; sa largeur, du Dchorokh au Rion. Le climat en est bon et agréable, chaud, pluvieux et humide en été, doux en hiver, mais très neigeux, comme l'Iméreth. Il n'y gèle pas. Il y a des montagnes et des collines, des champs et des bois, mais peu de plaines. Tous les grains y profitent, mais la soie ni le coton n'abondent pas. Il y a peu de brebis; les autres animaux, le chameau excepté, se trouvent en bandes et en troupes nombreuses, et paissent sans conducteur l'hiver et l'été. Les oiseaux et les fruits sont abondants. A Bathom, à Gonia, à Ergé, l'on trouve des oranges, des citrons, des limons, des olives et des grenades en quantité, et, sur les bords de la mer, des vignes grimpantes, du vin de bonne qualité, léger, parfumé, salubre et abondant. Nous n'avons pas donné les noms des rivières, parce que chacune prend celui d'un bourg. Les hommes et les femmes ressemblent à

წოდებანი არღა-რა დავსწერდეთ, ვინათ-გან თვისივე სახელნი აუწყებენ დაბებთა-გან: ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი ათვსაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შვენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილ-მოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით, მესხთა-ებრ, არამედ ქართულისავე ენისანი, და არა სხვისა: ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემძლებნი, უქურდალნი, უავაზაკონი, ვითარცა ოდიშარნი. სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენი. კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მეის გულ-მწყრალნი: განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს ხამცსისა. ამის-თვის მუნვე დავსწერეთ:

ხოლო რა-ოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი, საქართველოსანი, განა-თუ აქჳთ ზოგთა ენა სხვა თვისნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქჳთ თვინიერ ქართულის წიგნისა საკუთრად:

ceux d'Iméreth, pour les moeurs, les usages, les croyances et le culte, et dépendent du cathalicos d'Aphkhazeth; ils ont les mêmes vêtements, mais plus élégants et plus recherchés; ils sont plus doux, leur langage est aussi moins rude, et, comme celui des Meskhes, semblable à la langue écrite. Ils parlent seulement le géorgien. Hardis au combat, ils sont au-dessus de toute comparaison avec les Imères; ils ne sont ni pillards, ni voleurs, comme les Odiches, ils aiment et traitent bien les étrangers. Ils chantent et écrivent bien, mais quoique paisibles, ils se fâchent promptement. Le Gouriel a souvent été maître de l'Adchara et du Dchaneth, qui dépendent du Samtzkhé: c'est pour quoi nous avons décrit ces lieux sous ce dernier article.

Tous les pays ci-desssus mentionnés, dans les plaines et dans les montagnes, ou dans le Caucase, comme étant de la Géorgie, font usage seulement de l'écriture géorgienne, bien que quelques-uns aient des idiomes particuliers.

აღწერა ოვსეთისა:

DESCRIPTION DE L'OWSETH.

აღწერა აწინდელისა ოვსეთისა

ანუ კავკასიათა შინათა:

სახელისა-თჳს: ქვეყანა ესე რომელსა აღვსწერთ წილ-ხდომილ არს კავკასოსი, ძისა თარგამოსისა. ხოლო მოვიდა [1]) რა ორნი ესე ძმანი ლეკან და კავკასოს, ლეკან დაიპყრა წილი თვისი, და გამოსვლასა ხაზართ მეფისასა, მისცა მამის ძმის-წულსა თვისსა ხაზართ მეფე-მან ტყვენი რანისა და მოვაკანისა, და ლეკანის წილი ქვეყანა, და დაეშენა თვისითა და მით შინ: ხოლო ხოზონის, რომელი წარჩინებულ [2]) იყო ნათესავთა ლეკანისთა, შემოვიდა მთათა შინა და აღაშენა ქალაქი, უწოდა სახელი თვისი ხოზონისეთი [3]), და ხარკს მისცემდა ხაზართა: ხოლო კავკასოს დაიპყრა ქვეყანა ლეკანის

---

1) Il y a évidemment ici une faute, et il faut lire მოვიდნენ; plus loin ლეკან et non ლეკანს, répété deux fois par l'auteur.

2) L'auteur semble avoir voulu écrire უწარჩინებულესი, le plus distingué, mais la fin manque, le უ initial est comme effacé par le lettre suivante, d'où les copies ont fait უწარჩინებული et უწარჩინებულეს. Cette dernière variante serait la seule bonne, puisqu'on ne peut supprimer la marque du superlatif.

3) L'auteur à écrit ხოზონსეთი, mais d'une part le premier ი est nécessaire pour la régularité, de l'autre la terminaison სეთი ne dériverait plus de ხოზონის: le ხ et le ს ont trop de ressemblance pour ne pas autoriser une si légère correction.

DESCRIPTION
DE L'OWSETH,
OU
DES CONTRÉES INTÉRIEURES DU CAUCASE.

Le pays que nous allons décrire échut à Cawcasos, fils de Thargamos. Nom.
Les deux frères Lécan et Cawcasos y étant entrés, le premier occupa la partie qui lui était dévolue. Le roi des Khazars, lors de son expédition, donna au fils de son oncle paternel les prisonniers de Ran et de Mowacan, et les terres qui avaienu appartenu à Lécan. Celui-ci s'y établit avec les siens et avec ces prisonniers. Cependant Khozonis, le plus distingué des fils de Lécan, entra dans les montagnes, y fonda une ville, l'appela de son nom Khosoniseth, et paya tribut aux Khazars. Pour Cawcasos, il posséda les pays depuis la frontière de Lécan jusqu'à la mer du Pont, y compris les plaines au N. du Caucase. Le mont Caucase prit son nom, et la plaine s'appela Osi, qui est la terminaison du mot Cawcasos.[1]), parce que, lors de sa venue, le roi des Khazars avait donné à son fils Ourbanos le Caucase

1) Osi est une terminaison grammaticale, imitée, je crois, du grec, mais qui ne se trouve dans aucun nom vraiment géorgien. L'étymologie est donc sans fondemen .

სამზღვრიდამ ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასის მთის ჩრდილოთი ველითურთ, და ამის-გან ეწოდა მთასა კავკასი, და ველსა ოსი, ბოლოს მონაწყვეტი კავკასოსი, ვითამ მისი, გამოსვლამდე ხაზართა: არამედ ხაზართა მეფე-მან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თვისსა ურბანოსს და ტყვენი ქართლ-სომხითისანი: ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი, და დაეშენა აქა თვისით, და ტყვითა-მით, და უწოდა ოვსეთი, ესე არს ხაზარულად ზოგი თესვად. ვითამ ზოგი მოვაწყვიდე, და ზოგი დავსხი თესვად: ვითარცა უწოდეს ბარდოსის წილს რანი, ესე არს წყლულნი, რამეთუ მუნ მოსწყვიტეს უამრავნი ძმოართა უტევანნი[1]: ხოლო ძე ტირენისა დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსა, შემოიკლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი: ამის გამო ეწოდა არაგვს აღმოსავლით გერძს, ლეკეთის სამზღვრამდე ძურძუკეთი, ხოლო არაგვს დასავლით რომელ არს მდინარე ღომეკი, და აწ თერგი, რომელი დის ჴევიდამ, კავკასთა შინათა, დვალეთი, მისვე ურბანოსისა-გან ხაზარულათ, ესე იგი არს ორი წელიწადი: რამეთუ ვინაჲგან ძურძუკეთსა შინა მცხოვრებელნი და კავკასთა შინა მცხოვრებელნი სარკსა მისცემდნენ ურბანოსს, ამის-თვის ორი წელნი უწოდეს, რამეთუ ორის წლისა შემდგომად სარკსა გამოართმიდენ, რომელი დღესაც ეგრეთვე მოსარკენი არიან თვის თვისთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა: ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი ჴევნი იგინი დაშთენ მეფეთა თვისთასა; და იწოდენ ჴევნი იგინი ოვსეთად, შემოსასვლებითა და დამონებითა მათითა მათ-გან-ვე, ხოლო შემდგომად კვალად განიყო ძურძუკეთი ძურ-

1) Toutes ces étymologies sont également puériles. 1 Owséthi et Oséthi sont le même nom et doivent avoir la même origine, i. e le pays des Osses ou Owses, qui sont les Asses ou Iasses des historiens du moyen âge. Partant de cette base que la langue khazare est la langue russe, Wakhoucht tire ses étymologies de cette dernière, où, en effet сѣять signifie semer, mais ow n'a pas le sens de quelques uns: c'est une syllabe insignifiante. 2. раненный signifie également blessé; mais chacun sait que le Ran des géorgiens est l'Aran des auteurs persans et arméniens, ou Iran. Cependant la tradition

ainsi que les prisonniers du Karthli et du Somkheth. Ayant fait périr la race de Cawcasos, Ourbanos s'établit dans le pays avec ses prisonniers et son peuple, et le nomma Owseth, i. e., en langue Khazare quelques uns pour semer, car j'ai fait périr les uns, et établi les autres pour semer. De même la portion de Bardos fut nommée Ran, i. e. blessés, parce qu'il y avait eu plusieurs milles[1]) couverts de cadavres. Cependant Dourdzoucos, fils de Tinen, le plus distingué des descendants de Cawcasos, s'enfuit dans le mont Caucase, y construisit une ville et l'appela de son nom. De là vient celui de Dzourdouceth, donné au pays à l'E. de l'Aragwi, jusqu'à la limite du Leceth; la contrée à l'O. de l'Aragwi, ou Lomec, aujourd'hui Therg, qui sort du Khéwi, dans l'intérieur du Caucase, est le Dwaleth, nom khazar, qui lui fut donné par le même Ourbanos, et qui signifie 2 ans, parce que les Dzourdzoucs payaient tribut à Ourbanos, ce qui fit appeler leur pays deux ans (Dwaleth), le tribut se payant à de tels intervalles. Encore aujourd'hui ils doivent à leur prince un impôt de ce genre, nommé satchoukar, présent. Sous le roi Pharnawaz, le Dzourdzouc et le Dwaleth tombèrent aux mains de ce prince, et les autres vallées restèrent aux rois des Osses. Le pays s'appela Owseth parce qu'il était peuplé de leurs sujets. Plus

---

rapportée ici par Wakhoucht, sur les prisonniers iraniens transportés dans le Caucase, rendrait compte jusqu'à un certain point du nom national d'Iron que se donnent les Osses, au dire de Klaproth dans le t. II de son Voyage au Caucase, éd all. Quant à два лѣтъ ces mots signifient deux ans, mais, comme le fait observer l'auteur d'une note placée en cet endroit sur le Mit. du Musée asiatique, dans le mot Dwaléthi, le radical est Dwal, suivi de la terminaison bien connue éthi, qui indique le pays dans les mots géographiques géorgiens. Après cela on peut présumer que la tradition de ce tribut biennal est controuvée, du moins rien ne l'appuie historiquement.

1) Il faut lire უტევანნი, dans le texte, d'après l'orthographe ordinaire et conformément à l'étymologie arménienne, ուտեւան, un stade, un mille.

*

ძუკად [1]), ქისტად და ღლიღვად, და ისახელა ესრეთ ანუ მურძუკოს ძეთა-გან ანუ შემოსრულთა ოჳსთა-განვე: არამედ დვალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად. და იწოდების ჴევნი ესრეთ. გასრის-ჴევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად: ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოჳსთა სახელნი მათნი არიან ესენი. ჩიმი, თაგაური. ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთა-გან, გინა უმეტეს შემოსრულთა ოსთა-გან, რომელნი შემდგომად ჩინგიზყაენთა მოსჳლისა ბათო-ყაენ-მან მოსრნა ოჳსეთი და მოაოკრნა: ხოლო ოჳსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა გეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი: რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოჳსნი, და გვარნი ოჳსთანი ესენი არიან. ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჯასილიძე [2]): ხოლო შემდგომად მოოკრებისა ოჳსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა იწოდნენ ოჳსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსრულთა-გან, ოჳსეთად: რამეთუ აწცა გვარიანთამათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა გვალად დვალადვე: არამედ ჴევი რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა არს დვალეთისავე: განა ვინათ-გან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად. ვინადგან არს ჴევი შვენიერი: არამედ თრუსო გვალად არს დვალეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა:

ხოლო აწინდელისა ამის ოჳსეთისა საზღვარი არს აღმოსავლით თრუსოსა და ჴევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ასოტის კავკასი, რომელი ძენან სამკრიდამ ჩდილოდ და დასწუდების ჴევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე: სამხრით მზღვრის კავკასი, ქე-

1) L'auteur écrit მურძუკად.

2) M. as porte Dcharkhélidzé, mais il n'est pas besoin de cette variante pour reconnaître dans ce nom celui des Dcharkhilans nommés dans l'inscription de l'église de Nouzala. (Mém. de l'Ac. des sc. VI^e série; sc. mor. et pol. v, 353.)

tard le Dzourdzoucethi fut divisé en Dzourdzouc, Kist et Ghlighwi, et fut appelé ainsi, soit des fils de Dzourdzoucos, soit des Osses qui y étaient entrés. Le Dwaleth lui-même est divisé en vallées qui s'appellent: vallée de Casra, Zramaga, Jghélé, Nara, Zrogo, Zakha; celles qui restèrent aux rois osses s'appellent Tchim, Thagaour, Kourthaoul, Walagir, Phaïkhom, Digor et Basian, noms tirés de certains bourgs, ou plutôt des Osses qui y sont entrés, lesquels, après l'expédition de Tchingiz, furent ruinés et ravagés par Bato-Qaen. Mais les Osses, réfugiés dans les montagnes, donnèrent leurs noms aux vallées, ainsi que le prouvent ceux des familles. Car les plus distingués sont les Osses, dont les familles sont: Badélidzé, Tcherkésidzé, Thagaour, Sidamo et Dchakhilidzé. Après le ravage de l'Owseth et la fuite des Osses dans le Caucase, l'Owseth fut appelé Tcherkez et Qabarda, et ceux qui pénétrèrent dans le Caucase le nommèrent Owseth. En effet, maintenant encore, les plus nobles d'entre eux se nommes Osses, et ceux qui ne le sont pas, Dwals. La Vallée que nous avons décrite dans le Karthli, est aussi du Dwaleth, parce que les rois du Karthli occupèrent cette contrée et, changeant son nom, l'appelèrent Khéwi: en effet c'est une vallée délicieuse. Throuso appartient aussi au Dwaleth, et est également connu sous ce nom.

L'Owseth actuel, dont nous parlons, a pour bornes: à l'E., la frontière de Throuso et du Khéwi, le Caucase Mqinwar et celui d'Akhot, courant du S. au N., et qui se termine à l'extrémité du Khéwi, vers le fleuve Lomec, et le Lomec jusqu'à Khéthadzé et à la montagne de Tcherkez; au S., le Caucase allant vers l'O., depuis la gorge du Khéwi, c'est-à-dire jusqu'au Broutz-dabdzel, puis les montagnes de Zécara et de Cédéla qui le séparent de Digor, de Basian et du Radcha; au N., la haute montagne qui le sépare de Tcherkez, boisée de ce côté, mais sans forêts du côté de l'Owseth; à l'O., le Caucase qui le sépare de Radcha et de Jghélé, puis du Basian et du Souaneth. Ce pays est fort et inaccessible à l'ennemi étranger, à cause de la hauteur de ses monts glacés et couverts de neige, l'épaisseur de la glace y étant de 20.

კის ყელიდამ წარსრული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-ხაბძელამდე, და ზეკარა-გედელა და რაჭა-დიგორიბასიანს შორისი კავკასნი. ხოლო ჩრდილოთ, ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი, და ოსეთის კერძოდ უტყეო, არამედ ღელებთა შინა მცირე-ტყიანი. და დასავლეთით მზღვრის კავკასიზე რაჭასა და ყელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი.

ქვეყანისა-თჳს: ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარის და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყინულის სიმაღლე არს 40 და 30 მკარი ზაფხულის. კვალად სივიწროვისა-გან და მაღლის კლდის ქარაფოვანთა-გან, და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მორბედინარეთა-გან: რამეთუ ძნიად განვლენ ცხენი ფონად, თჳნიერ ხიდისა: არამედ მცურავთა-განცა არა ძალ-უძლების ცურვად: არა არს აქა ტყე მცირეთა-გან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნარი: განა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე სიცივისა და კლდოვანობის გამო, ვერ იზრდების: გარნა ვითნი ზიდვენ ჩერქეზის მთიდამ, და სხვანი სწვენ წივასა: ხოლო სიგრძე ამის ქვეყანისა არს კევიდამ სვანეთის კავკასამდე, და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე: არამედ ნაყოფიერება ამ ქვეყანისა არს მცირედი, ვინათ-გან არა-რაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თჳნიერ სორბლისა, ქრთილისა, და შვრიისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისა-თვის. განა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოუმდებიან ძლიერად: კვალად არა-რაი მოვალს, და უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი განა სილნი, და ვითთამე ადგილთა ხბოების კოწახური, კლდის-მერსენი, ყელი და ასკილი; პირ-უტყვნი არიან, ცხოვარნი, უდუმო-კუდიანნი და მოთ-მცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, განა არიან ფრიად გემო-ვანნი სხვათა ადგილებთა-გან უმეტეს: და ვინად-გან აქვთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამის-თვის ვერ ინახვენ ცხოვართა, თვინიერ 20, 40, და 100 კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა 10, 20 და 40, და უფროსი არღა-რა: ხოლო არიან ვეძანი, რომელ არს წყარო ანკარა მლაშე და მრავლად ყოველსა ოვსეთსა ში-

ou 30 coudées; en été, à cause de ses défilés, de ses rocs escarpés et à pic, et de ses rivières grandes et rapides, qu'un cheval peut à peine traverser aux gués, et sans ponts, et qu'il est impossible également de franchir à la nage. Il n'y a que de petits bois, la plupart en bouleaux, au bord des rivières et dans les vallées, les arbres ne profitant pas dans ces lieux étroits, froids et rocailleux. On apporte aussi du bois du mont de Tcherkez, ou bien l'on brûle de la fiente.

Etat du pays.

La longueur du pays s'étend du Khéwi au Caucase de Souaneth, et sa largeur du Caucase de Karthli à celui de Tcherkez. Il est peu fertile; aucune graine n'y prospère, excepté le froment, l'orge et l'avoine; le froid étant cause que le printems y vient tard et l'automne de bonne heure; encore n'ensemence-t-on que de petits quartiers, parce qu'il y a plus de rochers que de terre. Mais aussitôt les semailles faites, la fertilité est très grande. S'il grêle, ce qui arrive fréquemment, la famine devient affreuse, car rien ne poussé dans ce pays: on n'y connaît ni les jardins ni les vergers, ni les arbres à fruit. Dans quelques endroits on trouve le berberis et le mersen de rocher, le fraisier de bois et la rose sauvage. Il y a des animaux: le mouton sans queue graisseuse et petit, le boeuf, le cheval, la chèvre, le pourceau en petite quantité, mais savoureux plus qu'en aucun autre pays. Comme il y a peu de prairies et de pâturages, on ne conserve pas plus de dix, vingt, quarante ou cent moutons, et de dix à vingt ou quarante chevaux. Il y a des wedza ou sources limpides, mais très salées, dans tout l'Owseth; on boit de ces eaux, qui sont très salutaires aux animaux et aux hommes, surtout aux premiers, qu'elles engraissent et rendent savoureux, et dont elles adoucissent la fourrure. En fait d'oiseaux, les Osses ne connaissent que la poule, et parmi les espèces sauvages, de petits passereaux. Il y a encore un oiseau nommé chourthkhi, qui se propage dans tout le Caucase, qui a l'apparence d'une perdrix et la taille de deux poules, et ramasse pour l'hiver une quantité d'herbes que les chèvres sauvages lui mangent; mais il se nourrit de leur fiente.

ნა: ამას ხმენ კაცნი და პირ-უტყუნი და ფრიად ერგებისთ, განა უფროს პირ-უტყუთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს და გემოიან, და ურბილებს მატყლსა: ფრინველნი ჰყავთ ქათამნი, და სხვანი არა-რანი, გარეულნიცა წვრილთა სირთა-გან კიდე, არა-რაი არს მუნ. გარნა არს ფრინველი შურთხი სახელით, რომელი ყოველსა კავკასიასა შინა გვარობს, მგზავსი სახით კაკბისა და სიდიდით ორის ქათმისა: ეს შურთხი შეიკრებს თვისად საზამთროდ ბალახსა მრავალსა და ამას ზამთარს შეუჭამს ჯიხვი, ხოლო შურთხი გამოიზრდების კურკლითა მისითა, და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი: ნადირნი არიან ვიეთთა ადგილთა ირემი, არჩვი, მშველი, ფოცხვერი, მელი, მგელი, ტურა, მაჩვი, დათვი, ყურდღელი, და არა მრავლად: ხოლო ჯიხვი, რომელი მგზავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისსა და შვენიერი სახითა და რქითა: ესე გვარობს კავკასთა ამათ შინა ყოველ-გან, ჯოგად და ჯოგად: ესე ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერა-რაი ცხოველი შემძლებელ არს განსლვად. აღვალს იანვრის ტესვრა-ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასსა ზედა, და შეაქცევს ცხვირს ქარსა და დაწვების ეგრეთ და არა-რაი ევნების: არს აქა ფუტკარი და ჰყავთ, და არა ეგდენ მრავლად რათამცა კმა ეყოს თაფლნი: არიან აქა ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ქვისა ბროლისა. არამედ არა უწყიან ჴელოვნება გამოღებისა, რათამცა ისმარონ მრავლად: არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისა-გან, თვინიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოების კალმახნი:

კაცისა და ჩვეულებისა, ზნისა და ჴელოვნებისა-თჳს:

ხოლო კაცნი და ქალნი არიან შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თვალ-წარბანი [1], შავ-თმოსანნი თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, განა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიცხელნი, თვისთა ქვეყანათა შინა მცირედ მჭამელნი. რამეთუ კმა იყოფენ, თვინიერ წყალსა და პურსა, და შრატსა, სხვათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი. ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშქართა-გან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშქართა შინა, და გამომსვლელნი. უსაქციელონი, ბრიყჳნი. ქვეყანათა თვისთა ლაღნი და ამაყნი, სხვათა ქვეყანათა შინა მდაბალნი. გონიერად მოუბარნი,

1) Je pense qu'il y a ici un ა parasite, et qu'il faut lire წარბნი.

il est très savoureux. Quant au gibier, on trouve dans certains lieux le cerf, l'artchwi, le mchwéli, la fouine, le renard, le loup, le toura, le blaireau, l'ours, quelques lièvres; le djikhwi, qui ressemble à la chèvre, est beaucoup plus grand, il a des formes et des cornes élégantes, se propage dans tout le Caucase de ces régions, vit par troupes, va sur les rochers et sur le bord des précipices, où nul être vivant ne peut atteindre. En janvier, malgré le froid et les ouragans, il gravit les plus hautes cîmes du Caucase, et s'y couche, le nez au vent, sans qu'on lui fasse aucun mal. On trouve aussi des abeilles, mais en trop petit nombre pour fournir suffisamment de miel. Il y a des mines d'argent, de plomb, de fer, de cristal de roche, mais les habitants ne connaissent pas l'art de les extraire pour en tirer un bon parti. Les rivières, trop rapides pour être poissonneuses, ne contiennent pas d'autre poisson que des truites, en certains endroits.

Les hommes et les femmes sont beaux et de bonne mine; ils ont les yeux, les sourcils et les cheveux noirs; ils sont vermeils, forts, élancés, les femmes surtout, lestes et agiles. Ils mangent peu chez eux, se contentant d'eau avec du pain et du petit lait; mais ailleurs et chez leurs hôtes, ils sont insatiables. Peu braves à la guerre, ils la craignent extrêmement; mais ils sont hardis voleurs de nuit et aiment les courses à main armée. Incultes, grossiers, fiers et arrogants dans leur pays, ils deviennent timides ailleurs, parlent avec maturité, sont voleurs et pillards, trompeurs, cupides, thésauriseurs, sanguinaires; aiment la débauche, vendent les prisonniers, mais non leurs compatriotes. Les femmes conservent leur virginité jusqu'au

Habitants, moeurs, usages et industrie.

ქურდნი, მპარავნი, მატყუარნი, სარბნი, მომსვეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყვის მყიდველნი 1), განა არა თვისთა ჰყიდიან: არამედ ქალნი მათნი იცვენ ქალწულებასა ვიდრე შერთვადმდე ქმრისა, და მერმე სახელ არს მათ. შორის რა-ოდენნიცა უყვისთ კურონი: რამეთუ სირცხვილად აქუსთ დღისით ხილვა ცოლ-შვილთა თვისთა ქმრისაგან: ხოლო ცმულნი არიან სამის პერანგით, საყელო ბერულად მოჭრილითა, და ნიფხავი სამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მუხლამდე, და პაიჭიცა შალისა. არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უგუჯასტო: ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული: ფერხთა ზედა ტყავთა-გან აცვიათ, რომლისა არს ძანჩხა გამობანდული დასხეულის ტყავისა-განვე: და მას შინა შთასდებენ თომსა, და ჩაიცმენ ეგრეთ რათა არა მოუსხლტეთ ფერხი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა: უდიდესნი იცმენ წუღასა და ბურავსთ თავსა ქუდი მრგვალი და ბეწოსანი შალისა-განვე: ბოდიშობენ ურთიერთს და მიემშვიდობებიან ქუდის მოხდით: ხსედან სკამთა ზედა. არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმ-რიგადვე ლეკისა დარაიას და რაიბაფთს, ქუთნისა და რაისაც ლარს იშოვნიან. ეგრეთვე მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად: და ბურავთ მათცა ქუდი იგი, აცვიათ წუღა პაიჭი, და არა ნიფხავი. მოირტყმენ სარტყელსა კაცნი და ქალნიცა, ვითარიცა ძალ-უცთ შოვნად: სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქორწმინდელისანი 2), და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტეანენი. რამეთუ იმარხვენ დიდ-მარხვასა. სატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა და თაყვანის-სცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელი და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან: ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მოჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტეანენი, განა უმეცარნი ორივეს რჯულისანი: რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა არიან ქრისტეანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა ესენი არიან

1) L'auteur dit: achètent les prisonniers მყიდველნი; je pense qu'il faut გამყიდველნი ils vendent les prisonniers.

2) I. e. l'évêque de Nikor-Tsminda, dans le Radcha. Depuis ce mot jusqu'à რამეთუ, la phrase manque dans nos copies.

mariage, après quoi elles mesurent leur gloire au nombre de leurs amants; c'est aussi une honte pour un mari d'aller voir sa femme durant le jour. Pour vêtement ils ont une chemise grossière, avec un trou où passe la tête, à la façon des moines, et des caleçons de même étoffe; par-dessus, un habit court, de drap, descendant au genou, et des bas de drap. La robe est plissée et sans boutons. Sur ce vêtement ils jettent le manteau. Leur chaussure, ainsi que sa semelle, est formée de lanières de peau tressées, pour que le pied ne glisse pas en marchant sur la glace, sur le gazon et sur les rochers; ils mettent de l'herbe dans l'intérieur. Les plus riches portent des guêtres et couvrent leurs têtes de bonnets ronds, peluchеux, également en drap; ils se font politesse et se saluent en ôtant le bonnet. Ils s'asseoient sur des bancs. Les plus riches s'habillent également de cotonade persane, de raïa, de raïbaphth de cotonade boukhare, mêlée de soie, et de toutes les étoffes qu'ils peuvent trouver. Les femmes portent les mêmes vêtements, mais plus longs, se coiffent du même bonnet, chaussent la guêtre et le bas, mais n'ont point de caleçon, et se ceignent, comme les hommes, de ce qu'elles peuvent se procurer. Pour la religion, les Osses sont chrétiens d'ancienne date, et sous la direction du Nikozel; spécialement les Dwals. Ces derniers ne sont plus maintenant chrétiens que de nom. Car ils observent le grand carême, révèrent et honorent les images, les églises et les prêtres, n'étant pas baptisés, excepté ceux qui vont à cet effet dans le Karthli et dans le Radcha. Dans le Thagaour, le Kourthaoul, le Walagir, le Phaïkom, le Basian, le Digor, les chefs et les principaux suivent le mahométisme, et le peuple est chrétien, sans connaître un mot des deux religions. Voici comment on les distingue. Ceux qui mangent du porc sont chrétiens; ceux qui mangent du cheval, musulmans. Tous honorent une sorte d'idole, sous le nom de Watchila. Ils sacrifient à S. Elie une chèvre, dont ils mangent la chair; étendue sur un ais élevé, la peau reçoit leurs hommages au jour de la Saint-Elie, afin que ce saint les préserve de la grêle et leur donne les fruits de la terre. Ils sont du reste aussi

*

მოჭმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩი-ლას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა, და კორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა განჰკიდებენ მაღალს ძელსა ზედა და თაყვანის-სცემენ ტყავსა-მას, დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელია-მ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი: კვალად არიან ვითარცა ნადირნი უწიგნონი, უცოდნარნი: ენა აქუთ ძველი დვალური, და არ უზნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათ-გან ჩერქეზთა ესა სხვა არს. ვიეთნი მოთა-ვეთა და ქართლსა და რაჭას მომსვლელთა უწყიან ქართული; ხოლო ჩერქეზთა-შინა მსვლელთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯაღათასი: შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა, და დაბალნი ერთსა: არამედ თუ მოკვდეს ძმა ერთი, შეირ-თავს მეორე ძმა თვისს ძმის ცოლსა, ვინათ-გან მისცემენ სასყიდლისა-პატივად ქალის სასყიდელს [1]) 10, 20, 30 და 40 ძროხასა; ამის-თვის არღა-რა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თვითვე: უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი. ხოლო ესე ოვსი განიყოფების ეს-ოდენ გვარად. ხიდამონად, ჯასილიძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თვისთა ნიჭადი, ერთ-მან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლობა: რამეთუ უკეთუ მოკლას ერთ-მან, არა დასცხრების მეორე გვარი-იგი შვილით შვილამდე უკუნისამდე; თუმცა არა მოკლას მანცა: და მკვლელი მოკლულსა მათ-თვის [1]) გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა. „მოვჰკალო მკვლელი შენი:“ და რწამსთ ესე საცხონებლად მისად: არა-მედ უკეთუ დაზავდნენ ბრჭეთა-გან და მისცეს სისხლი, განა კვალადცა მოჰკლავს და უკუნ-სცემს სისხლსა მინაცემსა თვისსა: არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა: გარნა თუ განდიდნეს ანუ გამდიდრნეს ოვსი ანუ დვალი, ანუ შეირთავს ორ სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოჰკლავს კაცსა: და უკეთუ მძლეველ ექმნას მე-სისხლე თვისი, შევალს კოშკსა შინა, და არღა-რა გამოვალს სიკუდილამდე:

კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თვისთა ფრიადი, და უგისო ვითარცა პატრონნი თვისნი, ამათ მოხუცებულთა-გან ჰყოფენ ბრჭობასა და ზავსა და ყო-

[1]) Litt. proclame la famille tuée pour eux; au lieu de მათ-თვის je pense qu'il faut lire მის-თვის, encore გვარსა მოკლულსა est-il une tournure insolite.

ignorants, aussi peu lettrés, que les bêtes des bois. Ils parlent l'ancienne langue dwale, ou osse proprement dite, comme ils l'appellent aujourd'hui; car la langue des Tcherkez est différente. Quelques-uns des chefs, qui ont été dans le Karthli ou dans le Radcha, savent le géorgien; ceux qui sont allés chez les Tcherkez savent leur langue et le thathar djaghathéen. Les riches épousent deux ou trois femmes; les pauvres, une seule. Quand un frère meurt, l'autre frère prend sa femme; comme on donne, à titre de trousseau, à l'époux[1]) de la veuve, dix, vingt, trente ou quarante boeufs, ils se gardent bien de la laisser enlever par un autre, et la retiennent pour eux. Ils connaissent la noblesse. Les plus distingués chez eux sont les Osses, qui se divisent en familles, dont les premières sont: les Sidamon, les Dchakhilidzé, les Thagaours, les Kourthaouls, les Badélidzé, les Tcherkézidzé, les Basians. Ces familles ont leurs auxiliaires, s'attaquent, se défendent réciproquement, observent la vengeance du sang. En cas de meurtre, le souvenir s'en perpétue de génération en génération, jusqu'à la mort de l'assassin. Alors celui qui a accompli la vengeance proclame dans le tombeau le nom de famille du mort en disant: „J'ai tué ton meurtrier," ce qu'ils regardent comme une action méritoire. Mais s'il y a réconciliation à l'amiable en donnant de l'argent, et que cependant le meurtre ait lieu, il faut rendre le prix reçu pour le sang. Les Dwals sont les moins nobles des Osses. Quand un Osse ou un Dwal devient riche et puissant, il prend deux ou trois femmes et se construit une tour. S'il vient à commettre un meurtre, et qu'il ait le dessous envers la partie intéressée, il entre dans sa tour et n'en sort plus jusqu'à la mort.

Ils honorent beaucoup les vieillards, et les regardent comme leurs maitres; ceux-ci servent de médiateurs et d'arbitres, et donnent leur avis

1) J'ai entendu le mot სახლეულის dans le sens de Mari, parce que l'on dit d'une femme qu'elle est établie, დასახლებული, quand elle contracte mariage.

ჴელსავე სამჭირნოსა თჳსთა განაგებენ მათით: სიმდიდრე მათი არს თოფი, კრმა-
ლი, ჯაჭვი, ჯავშანი. სპილენძი, და ოქრო და ვერცხლი მცირედ: არა უწყიან თე-
თრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, სამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე,
და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი, არამედ მწყრთა. უწყიან
უცხოთა სტუმართა პატივი და უგნებელობით დაცვანი. რამეთუ ვერავინ რაის ავ-
ნებს ერთისა ვისმე სტუმარსა, ვინათგან მოსწყდებიან მისთვის გვარით. არამედ
თჳთ გამოუსმენ რაოდენსი ძალუცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ საჩუქარსა, რო-
მელიცა ჯერ არს მათგან იგინივე მიუსმენ: უწყიან ქელოვნებანი ტყავისა, ქსოვა
შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუ-
შაკობა, სახლთ შენება, არამედ არღარა კმარობენ ქვიტკირსა. განა აღაშენებენ სა-
ხლთა უსარკმელოდ და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, და კოშკისა ფიქალთა ქვათა-
გან მიწით, მაღალს კლდე-გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნასავთ უმჯობესად ზვა-
ვისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთის: გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა,
ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ: ხოლო ძველადნი არიან ცი-
ხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი, და უმეტეს იტყვიან
იგინივე თამარ მეფისაგანსა: გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა:
ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი: არა არს ქვეყანათა მათთა შინა
მარილი, სელი, კანაფი, და ბამბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსნი თვისნი. ამის-
თვის უმეტესნი სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ,
რაჭიდამ და ჩერქეზიდამ, და ამისთვისცა მორჩილებენ თვისთვისთა მკარეთა, და
კვალად უმეტესად საზრდელთათვისცა: სდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ
შინა სვივა, და იგიცა მიაქუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ: კვალად სდიან
და აკეთებენ იესა, ბოზასა, პურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწაულსა თვისსა და
სტუმრობასა შინა: უწყიან სულთა მკვდართა მათთა სასხრად და მოსასხენებლად,
რომელსა უწოდებენ დოღსა. რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის სამის დღის სავლი-
დამ გამოუშვებენ, და რომელი მათგან უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჭსა და

dans toutes les circonstances difficiles. Leur richesse consiste en une épée, une cuirasse, une armure complète. Ils ont peu de cuivre, d'or et d'argent, ne connaissant pas la monnaie, et la remplaçant par des manteaux, des robes de drap, des étoffes grossières, du drap, des moutons, des boeufs, des captifs. Dans le commerce, au lieu de l'archine, ils emploient la coudée. Ils traitent les hôtes étrangers avec honneur, et n'attentent point à leur personne; ils ne se permettent pas même de léser l'hôte de leur voisin: par-là ils se perdraient eux et leur famille. Au contraire, ils offrent à leurs hôtes tout ce qu'ils peuvent, à titre de présent, et reçoivent aussi d'eux ce qui leur est agréable à eux-mêmes. Ils savent travailler la peau, tisser le drap, feutrer et préparer des manteaux excellents. Ils savent aussi forger le fer, le tremper, travailler le bois, construire des maisons sans employer la pierre avec la chaux. Leurs maisons sont sans fenêtres, et à plusieurs étages. Leurs tours sont bâties en quartiers de pierre et en terre, sur des rochers et sur de hautes montagnes, et n'ont rien à craindre des avalanches de neige, qui ne les atteignent pas. Si l'on monte dans une tour, elle s'ébranle sans tomber, et garde une assiette solide. On trouve dans l'Oseth d'anciennes forteresses, tours et églises en pierres cimentées, construites par les rois, et pour la plupart, dit-on, par la reine Thamar. On tire de la terre du plomb, du nitre, du soufre; les femmes savent coudre d'une manière très fine et élégante. Il n'y a dans le pays ni sel, ni lin, ni chanvre, ni coton, ni soie pour en faire des vêtements. Aussi les habitants se couvrent, pour la plupart, de peaux de moutons qu'ils tirent du Karthli, du Radcha, de Tcherkez, ce qui les oblige, mais surtout le manque de vivres, à rester soumis chacun à leurs voisins. Ils boivent aussi un peu de bierre (loud), mais l'on ne trouve pas chez eux de houblon, ils le tirent du Karthli, du Radcha et de Tcherkez; ils font et boivent encore de l'eau de vie, du boza, fabriqués avec le froment et l'orge, en font usage les jours de fête et quand ils ont des hôtes. Ils s'occupent également du sou-

გარდაიხდიან პურობასა და ლხინსა დიდსა, ვის რაი ძალ-უცს: და ჰგონებენ ამას სა-ლხინებლად და საცხოვრებლად სულთა-თვის მკვდართა მათთა-თვის:

აღაგებითა-თჳს: ხოლო მთათა, კევთა, მდინარეთა, წყალთა და შენობათა აღწერანი ესენი არიან, და დავიწყებთ კევიდამვე: ხოლო კევის ბოლოს არს ლაზური. მას ქვეით, ჯარიესს, მოერთვის ხევის არაგჳს ქისტ-მურძუკის-წყალი. მას ქვეით არს ხეთაძე: არამედ ამ

ჩიმისა-თჳს: ქისტის-წყლის შესართავს, არაგჳს [1]) დასავლით, მაღლა მთის ძირს არს ჩიმი, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი სიდამონნი გვარითა; და არიან ეწ თავნი მათნი მაჭმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისა-თვის, არამედ არიან მისიცა უმეცარნი: ამის ჩიმის დასავლით და კევის დასავლით არს თაგაურის კეობა: ამისი

თაგაურისა-თჳს: მდინარე გამოსდის მყინვარის კავკასსა და ხოსისასა. სიგრძით არს ხოსიდამ ჩერქეზამდე, და დის სამხრიდამ ჩრდილოთ; და მიერთვის არაგჳს დასავლეთიდამ: ხოლო ამ თაგაურის მდინარეს ერთვის ჩიმითის-წყალი, რომელი გამოსდის ასოტის კავკასს. ამ კევ-ზედ არს ჩიმითი, დაბა დიდი, და კოშკოვანი, ვითარცა ჩიმი, ყოვლითავე: ამ კევის შესართავს ზეით თაგაურის-წყალს მოერთვის ყაბანის სხვა კევი, რომელი გამოსდის მყინვარის კავკასს, და ამ კევს მოერთვიან მყინვარის კავკასიდამ კევნი: არამედ ყაბანი არს ამ ორთა მდინარეთა შორის, დაბა დიდი, კოშკოვანი: მას ზეით, თაგაურისა-წყალ-ზედ არს, დასავლეთის კიდურ-ზედ, ეკლესია მცირე, ძველადვე აღშენებული მეფეთა-გან: ამას ზეით, ამავე წყალ-ზედ, არს ჯიბილიზი, დაბა დიდი, კოშკოვანი, და ციხე აღშენებული მეფეთა-გან, მაგარი, შეუვალი მტრისა-გან: მას ზეით არს ყაყიდური, დაბა დიდი, კეთილი, კოშკოვანი, და ხოსის კავკასის ჩამოსულს ძირ-ში გორა-კლდესა ზედა, ციხე აღშენებული მეფეთა-გან, ფრიად მაგარი. და არიან კევნი ესენი შენობიანნი, და დაბნებიანნი:

---

1) I. e. le Térek, qui se nomme Aragwi, dans les montagnes voisines de sa source.

venir et du soulagement des âmes de leurs morts, et nomment cela Dogh. A cet effet ils envoient des cavaliers à deux et trois jours de distance, et celui d'entre eux qui revient le premier reçoit des présents, est traité et fêté avec toute la magnificence qu'ils peuvent déployer. Ils pensent par-là soulager et sauver les âmes des défunts.

Voici maintenant la description des montagnes, des vallées, des rivières, des eaux, des édifices de l'Oseth, en commençant à partir du Khéwi. A l'extrémité du Khéwi est Lazour. Plus bas, à Djariekh, la rivière de Kist et de Dzourdzouc se jette dans l'Aragwi du Khéwi. Plus bas, est Khéthadzé; au confluent de la rivière de Kist, au pied d'une haute montagne à l'O. de l'Aragwi, est Tchim, grand bourg avec des tours, habité par des Osses Sidamons, dont les chefs actuels professent le mahométisme parce qu'ils vont à Tcherkez, mais sans savoir de quoi il s'agit. A l'O. de Tchim et du Khéwi est la vallée de Thagaour, dont la rivière sort du Caucase Mqinwar et du Khokh; elle s'étend du Khokh à Tcherkez, coule du N. au S. et tombe à l'O. dans l'Aragwi. Cette rivière est celle de Tchimith, qui sort du Caucase d'Akhot, sur laquelle est le grand bourg à tourelles de Tchimith, semblable en tout à Tchim. Au-dessus de la jonction de cette rivière, celle de Thagaour en reçoit une à Qaban, laquelle sort du Caucase Mqinwar et reçoit un affluent venant de la même montagne: Qaban, grand bourg à tourelles, est entre elles deux. Plus haut, sur le bord occidental de la rivière de Thagaour, est une petite église, autrefois construite par les rois. Plus haut, sur la même rivière, est Djibghiz, grand bourg à tourelles, ainsi qu'une forteresse inaccessible à l'ennemi, construite par les rois. Plus haut est le bourg de Qaqidour, grand et garni de tourelles. Sur un rocher, au pied d'une montagne que projette le Caucase de Khokh, est une très forte citadelle, construite par les rois: ces vallées sont pleines de bourgs et d'habitations.

Contrées. Lazour. Djariekh. Khéthadzé. Tchim. Thagaour. Tchimith. Qaban. Djibghiz. Qaqidour.

ქურთაულისა-თჳს:

